პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—დეკემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხევმშარის ქუჩის ორი მონაკვეთისთვის ლევან ჭოჭუას I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ხევმშარის ქუჩის ორ მონაკვეთს მიენიჭოს ლევან ჭოჭუას I და II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოფილ იქ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

01.01.359
01.01.1074
01.01.834
01.01.933
01.00.287
01.00.393
01.12.02.002.229
01.12.02.015.031
01.12.02.015.009
01.12.02.016.006
01.11.17.001.284
01.11.17.001.276
01.11.17.001.114
01.11.17.001.100
01.11.17.001.088
01.11.17.001.243
01.11.17.001.181
01.11.17.001.179
01.11.17.001.090
01.12.02.001.072
01.12.02.001.079
01.12.02.001.081
01.12.02.015.140
01.12.02.015.002
01.12.02.015.001
01.12.02.002.163
01.12.02.002.008
01.12.02.002.093
01.12.02.002.056
01.12.02.002.031
01.12.02.002.178
01.12.02.002.012
01.12.02.002.042
01.12.02.002.151
01.12.02.002.147
01.12.02.002.220
01.12.02.002.021
01.11.17.001.122
01.11.17.001.125
01.11.17.001.116
01.11.17.001.064
01.11.17.001.293
01.11.17.001.294
01.11.17.001.072
01.11.17.001.265
01.11.17.001.263
01.11.17.001.154
01.11.17.001.088
01.11.17.001.096
01.11.17.001.188
01.11.17.001.251
01.11.17.001.182
01.11.17.001.133
01.11.17.001.104
01.11.165
01.116
01.02.271
01.00.036
01.02.347
ლევან ჭოჭუას ქუჩა
ბულაჩაურის ქუჩა
ბულაჩაურის ბაქანი
ანმოს ბულოფიანმეფლოის ქუჩა
ბოლოქოვის ქუჩა
ლევან ჭოჭუას ქუჩა

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

18 / ნოემბერი / 2024 წ.

KA01172643011352 4

№ 261719

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო
სამსახურის უფროსს ბატონ გიორგი აბუთიძეს

ბატონო ლევან,

2024 წლის 31 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო") წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის №14-01243052595 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 283089/17) მომართვა, რომლითაც მოთხოვნილი იქნა ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სისტემური ნუმერაცია სიტუაციური რუკის სახით, ასევე მითითებულ ქუჩაზე დასანომრი ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი შემდეგი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა" (სამისამართო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი: ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მიერ 2008 წელს გამოცემული ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები").

შეგახსენებთ, რომ უძრავი ნივთებისთვის ნუმერაციის მინიჭებისას სააგენტო ხელმძღვანელობს "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ" ინსტრუქციით დადგენილი წესებით, რომლის თანახმად ნუმერაცია იწყება დასახლების ცენტრიდან და თანმიმდევრობით გრძელდება გარეუბნების (პერიფერიების) მიმართულებით. დასახლების ცენტრიდან ქუჩის, ჩიხის, შესახვევის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტებს ენიჭებათ კენტი ციფრი, ხოლო მარცხენა მხარეს - ლუწი ციფრი.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ ხევძმარის ქუჩის მიმდებარედ არსებული უძრავი ნივთებისთვის, თავად ამ ქუჩის გეოგრაფიული მოხაზულობის, განფენილობის გათვალისწინებით, ნუმერაციის მინიჭება შეუძლებელია, ვინაიდან ხევძმარის ქუჩას არ აქვს ქუჩისთვის აუცილებელი ძირითადი მახასიათებელი - ერთი დასაწყისი და ერთი დასასრული წერტილი. ცენტრიდან პერიფერიის მიმართულებით ქუჩა იყოფა სხვადასხვა მიმართულების განტოტებებად და აქვს ერთგვარი ქსელური ხასიათი (იხ. დანართი №1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია, ქუჩის არსებული მოხაზულობა და იმსჯელოთ გეოგრაფიული ობიექტის დაყოფის (ცვლილების) შესაძლებლობაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სიტუაციური ნახაზი

N

მომზადების თარიღი: 15.11.2024

სააგენტოს სამისამართო რეესტრში აღრიცხული გეოგრაფიული ობიექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032434816**
თარიღი: **13/12/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2024 წლის 18 ნოემბრის საქმე #06-032432333-03 დაკავშირებით, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიმართვის საფუძველზე (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი:283089/17) მოთხოვნილია ხევძმარის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ხევძმარის მონაკვეთების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი